პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 58 (10452)
პარასკევი
9
მარტი
1956 წ.
ფასი 20 კაპ.

ი. ბ. სტალინის გარდაცვალების მესამე წლისთავი

...ის წელ გავიდა, რაც გარდაიცვალა ი. ბ. სტალინი — კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ...ური დამაარსებლის ვ. ი. ლენინის ...ენილი მოწაფე.

...ტალინ, დიდმა ლენინმა სტალინი ...ბარეს როგორც ერთ-ერთი უფალ... თვალსაჩინო რევოლუციონერი, ...ად გამოჩენილი მარქსისტი, რომ... ლრმად ესმოდა მარქსისტულ-...ური თეორია.

ი. სტალინის მთელი მოღვაწეობა ...ელი იყო მშრომელი ხალხისათ...ბისადმი, კომუნიზმის გამარჯვებისათ...ვის, ლენინის დიად წინასწარდასახუ...ლთა განხორციელებისათვის ბრძო...ლა. თვითონ ი. ბ. სტალინი ამ...ბდა: „რაც მე შემეხება, მე მხოლოდ ...ბის მოწაფე ვარ და ჩემი ცხოვრე...ბა ეიყო მისი ღირსეული მო...ბა.

...ალინმა, რომელიც შემოქმე...ბად აგითარებდა მარქსიზმს ახალ ...ბარულ პირობებში, გენიალური ...ბარეტელობით დასაბუთა ჩა...ბრული, აგრარული რუსეთის ...ბეგ, მოწინავე ინდუსტრიულ-...ბურნო სახელმწიფოდ გადაქცე...ბა. საზოგადოების რევოლუცი...ბ მარდაქმნის ეს დიადი, მეცნიერუ...ბ დასაბუთებული ლენინური გეგმა, ...ბელიც ეფყარება მშრომელი მასების ...ბელ ენერგიასა და ინიციატივას, ...ბ ელად დაედო ჩვენი დიადი პარ...ბ ელ ... ბოლოვაზეობას.

...ბმძღვანელობდა რა ლენინური ...ბ, კომუნისტურმა პარტიამ გაა...ბ გენტური შემოქმედებითი მუშა...ბ ... ქვეყანაში სოციალიზმის მშე...ბ ... ბისათვის. ვ. ი. ლენინის გარდაც...ბ ... შემდეგ პარტია განუხრელად ...ბ ... ამ მუშაობას ცენტრალუ...ბ ... ბრძნული ხელმძღვანე...ბ.

...ბ ... ჩამოყალიბდა ლენინელთა ...ბ ... ბირთვი, რომელმაც ...ბ ... ლენინის მეთაურობით ამხილა და ...ბ ... ტროცკისტები, ბუხარინე...ბ ... ... ნაციონალისტები ...ბ ... სხვა უბოროტესი მტრები, ...ბ ... ...ბ ... ...ბ ... ...

საქართველოს მშრომელები პატივს სცემენ ი. ბ. სტალინის ხსოვნას

თბილისი

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის საამქროებში იმართება დიდი ლენინის უკვდავი საქმის განმგრძობის, კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის ი. ბ. სტალინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობისადმი მიძღვნილი საუბრები.

ეს ქარხანა, რომელსაც წინათ რკინიგზის მთავარი სახელოსნოები ეწოდებოდა, განთქმულია თავისი რევოლუციური ტრადიციებით.

ამხანაგი სტალინი იგონებდა, როგორ ჩაიბარა მან პირველად 1898 წელს რკინიგზის სახელოსნოების მუშათა წრე. „აქ, ამ ამხანაგების წრეში, — ამბობდა ი. ბ. სტალინი, — მივიღე მე მაშინ ჩემი პირველი საბრძოლო რევოლუციური ნათლობა... ჩემი პირველი მასწავლებლები თბილისის მუშები იყვნენ“.

საუბრების დროს მუშები ამბობდნენ, რომ ახლა ჩვენი პარტია ისე ერთიანია, როგორც არასოდეს არ ყოფილა, რომ იგი მჭიდროდ დარაზმულია ცენტრალური კომიტეტის გარშემო და მტკიცე რწმენით მიჰყავს ჩვენი ქვეყანა დიდი ლენინის მიერ ნაჩვენები გზით.

ამ დღეებში სახელოვანი ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი შრომობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ისტორიული ამოცანების განსახორციელებლად, ყრილობისა, რომელიც ახალი ლირსშესანიშნავი ნიშანსვეტი იყო ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის გზაზე.

ახლა მუშები წარმატებით ასრულებენ იმ ვალდებულებებს, რომლებიც იკისრეს სოციალისტურ შეჯიბრებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პასუხად.

* * *

თბილისის ერთ-ერთი უდიდესი საწარმოს — ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის მუშები, მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები აღნიშნავენ ი. ბ. სტალინის გარდაცვალების მესამე წლისთავს.

საწარმოს საამქროებში ეწყობა საუბრები საბჭოთა ხალხის სახელოვან გამარჯვებათა შესახებ, რომელიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აშენებს კომუნიზმის დიად შენობას, შემდგომი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული XX ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანების შესახებ.

დღეს ქარხანაში გაიმართება მიტინგი.

რუსთავი

რუსთავის მეტალურგები პატივს სცემენ ი. ბ. სტალინის ხსოვნას.

ი. ბ. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე საამქროში გუშინ გვიან საღამოს მებრძმედეები შეიკრიბნენ ი. ბ. სტალინის გარდაცვალების მესამე წლისთავისადმი მიძღვნილ საუბარზე. საუბარი ჩაატარა. ცვლის უფროსმა გ. კოპაძემ. მან მოუწოდა მებრძმედეებს მიიღწიონ ახალ შრომითს წარმატებებს, ამრავლონ თავიანთი წვლილი ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის დიად საქმეში.

უფროსმა მებრძმედემ ი. გუნწკიძემ თქვა:

— ჩვენმა მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებში სამუშაოთა ახალი გრანდიოზული პროგრამა დასახა. ჩვენ, ქართველი მებრძმედეები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, მთელ ძალღონეს მოვახმართ მეექვსე ხუთწლედის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას. წლის დასაწყისიდან რუსთავში გეგმის გადამეტებით გამოდნობილია უკვე ათასობით ტონა თუჯი. გეგმის გადამეტებით გამოდნობილი ახალი ათასობით ტონა ფოლადით განვამტკიცებთ ჩვენი საყვარელი სამშობლოს ძლიერებას.

საუბარში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე საამქროს ლაბორანტმა ე. სიხარულიძემ, მეგაზე ა. პოპოვმა, ღუმელის ოსტატებმა რ. მაღრაძემ და მ. გორდაშვილმა.

დღეს ქარხანაში ეწყობა ი. ბ. სტალინის ხსოვნისადმი მიძღვნილი მიტინგი და საუბრები.

ი. ბ. სტალინის გარდაცვალების მესამე წლისთავისადმი მიძღვნილი მიტინგები

დღეს, 9 მარტს, რესპუბლიკის საწარმოებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში დღის 1 საათზე გაიმართება ი. ბ. სტალინის გარდაცვალების მესამე წლისთავისადმი მიძღვნილი მიტინგები.

პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი ახალი შრომითი წარმატებებისაკენ მოგვიწოდებენ

★

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის მთავარი ამოცანები ის არის, რომ მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარების, განუწყვეტელი ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების ბაზაზე უზრუნველყოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი მძლავრი ზრდა, განახორციელოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობა და ამ საფუძველზე მიაღწიოს საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის მნიშვნელოვან ამაღლებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებიდან სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956 — 1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

★

განვამტკიცოთ მეცნიერთა კავშირი წარმოებასთან

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადწყვეტილებანი ეროვნულ ეკონომიკას აკისრებენ მეცნიერ მუშაკებს, კერძოდ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა მუშაკებს. საქმე ისე უნდა მოეწყოთ, რომ ჩვენი კვლევის შედეგები მოკლე დროის განალვზე ეშველა მოახდინოს სოფლის მეურნეობის წარმოებაზე, ხელი შეეწყოს საკოლმეურნეო მინდვრებზე უფრო მეტი ღონისძიების მკვნელ.

ჩვენი მეცნიერები მოწოდებული არიან დაეხმარონ საკოლმეურნეო წარმოების მუშაკებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ნედლეულის ბაზის ფართოდ გაფართოებაში. ეს კი შესაძლებელი იქნება მხოლოდ ამ შემთხვევაში, თუ ისინი უფრო ხშირად იქნებიან კოლმეურნეობებში, მინდვრებზე და სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის ზრდის ეშველი მონაწილენი გახდებიან. ამ მხრივ ნამდვილ ეკვეთებელია.

ბევრ ადგილებში და მეცხოველეობის ინსტიტუტმა ნაყოფიერი მუშაობა გაწია ამისათვის, რომ ჩვენში ყურძნის მოსავალი ერთნაირად გადანაწილდეს. შეიმუშავებულია ვენახის მოვლის ისეთი წესი, რომელიც საშუალებას იძლევა თითო ვაზზე დავტოოთ არა 10-12 კვირტი, ორამდე 20 და 35 და ზოგჯერ მეტიც. ეს მოსავალს 2-3-ჯერ და მეტად ადიდებს. ინსტიტუტი ცდებს აწარმოებს კოლმეურნეობათა 200-ზე მეტ ნაკვეთზე. სწორედ ეს ადგილებს ამ დიდი ღონისძიების ფართოდ მეურნეობებში. სულ ბალე ჩვენი რესპუბლიკის ვენახების საერთო მოსავალი ერთნაირად გაიზრდება.

ბოტანიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელობით განხორციელდა სათბურ-სამეურნეოს ბასპორტიზაცია. შესწავლილია ყოველი ცალკეული ნაკვეთი და ყოველი მთგანისათვის დამუშავებულია ღონისძიება, რომლის განხორციელების შედეგად სათბურ-სამეურნეოს მოსავლიანობა სულ ცოტი 100 პროცენტით გაიზრდება. ახლა ჩვენი ამოცანა ის არის, რომ მეცხოველეობის კოლმეურნეობებთან მჭიდრო კავშირი ამ სათბუნის სანიმუშოდ მოეყოროთ.

სატყეო ინსტიტუტის მუშაობა წარმართულია იმგვარად, რომ გამოიმუშაოს ღონისძიებანი, რომელთა საშუალებით მთის ფერდობებზე შეკონორჩენებთ ტყეს (ამავე დროს მოვიდეთ ხე-ტყესაც); იქ, სადაც ტყე ეგარეგურებული, ამა აღვადგენო, ადგილებზე ბაზაზე დამდგარს გადავარჩენთ, ანსუბულს კი შევინარჩენებთ. ტყეს საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ინსტიტუტის მუშაკები სპეციალური მუშაობის ძირითადად ეწევიან სატყეო მეურნეობის მუშაკთა მონაწილეობით, რის შედეგადაც ტყის მეურნეობის წარმოების რაციონალური ღონისძიებანი უფრო ადვილად ხორციელდება.

ჩვენმა მეცნიერებმა დამუშავეს ფრიად მნიშვნელოვანი ღონისძიებანი სანაწილოდ კულტურების წარმოების დარგში. პევრგან ნაწილობრივ ნათესი სიმინდის ჰექტარზე 25 ცენტნერი და მეტი მარცვალი მოგვცა. მომავალში მეურნეობის ეს წესი ფრაგალ ათას ცენტნერ მარცვალს შეამატებს ჩვენს რესპუბლიკას.

ასევე წარმატებით მუშაობენ სელექციონერები, რომლებმაც გამოიყვანეს ჩაის, ბუხისა და სიმინდის, ხილეულისა და ყურძნის და სხვა კულტურულ მცენარეთა ფრაგალი ძვირფასი ჯიში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებმა გასულ წელს კოლმეურნეებს გადასცეს 20 ათასზე მეტი მეცნარის ნერგი, 15 ტონა ძვირფასი ჯიშის თესლი. მეცნიერ მუშაკების მიერ სოფლად წაკითხულია 480-ზე მეტი მოხსენება, გამოქვეყნებულია ეფერსა-გაზეთებში, განსაკუთრებით კი სარაიონო გაზეთებში 500-ზე მეტ სტატია, მოწყობილია სხვადასხვა კურსები, რომლებზეც გადამზადდა სოფლის მეურნეობის 560 მუშაკი და სხვ. მაგრამ ყოველივე ეს ჯერ ცოტაა. ჩვენ გვმართებს თავდადებული შრომა იმისათვის, რომ დავამუშაოთ უფრო ეფექტური აგროტექნიკა საქართველოს ხუნებრივი ზონების მიხედვით, გავეცნოთ სამეურნეობის ტიპი მთაში და გავიგოთ იგი უფრო რენტაბელური, დავამუშაოთ მთის ფერდობების მექანიზაციის წესები, ბალ-ბოსტნეულისა და ჩაის პლანტაციებისათვის შეგვმნოთ საჭირო ათობილ-მანქანები.

ჩვენ კიდევ უფრო განვამტკიცებთ კავშირს სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან, წარმატებით შეეასრულებთ იმ ამოცანებს, რომლებსაც საბჭოთა მეცნიერებს უსახავენ სკკპ XX ყრილობის გადწყვეტილებანი.

ნ. კეცხოველი,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარე.

„ჩემი წვლილი

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მე დიდი აღფრთოვანებით შევხვდი პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადწყვეტილებებს. მათში დასახულია ჩვენი სამშობლოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი მძლავრი აღმავლობის, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების ღონისძიებანი.

მრეწველობაში ახალი პროგრესული ტექნიკის დანერგვისაკენ პარტიის მიერ აღებული კურსის ნაყოფიერი გავლენა ჩვენს ქარხანაშიც თვალსაჩინოდ იგრძნობა. უკანასკნელ თვეებში, მაგალითად, სამკვეთლო-საწნეხ სამკრეხში ავამუშავეთ ბიდრავლიური წნეხები, რამაც საშუალება მისცა ქარხანას გამომეყვანა ახალი სახის პროდუქცია — საუფრო-ლაბორატორიული მოწყობილობა. გარდა ამისა, გავართოთ ეიფელ-ბეთონის ტანის მაღალი წარმადობის საღარეები, სახეები და სხვა ხარხები. ახალი მოწყობილობის გამოყენებამ მიგვიყვანა ლეგირებულად მაღალი ხარისხის ტანის წარმოების ორმაგ-სამმაგ ზრდამდე.

ჩვენ ამ ეტაპებით ვამაყობთ, მაგრამ ეს ჯერ-ჯერობით ჩვენ ბევრი ამოცანა ისევ ადგია. ეს ამოცანა ის, ეს ამოცანა ის, ეს ამოცანა ის,

საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის პრეს-კონფერენცია

საბჭოთა ქალების ანტიფაშისტურმა კომიტეტმა ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ჟურნალისტის ცენტრალურ სახლში მოაწყო პრეს-კონფერენცია საბჭოთა და უცხოელი კორესპონდენტებისათვის.

პრესის წარმომადგენლებს დაურიგდათ კომიტეტის მიერ მომზადებული მასალები, რომლებიც ახასიათებენ საბჭოთა ქალების ცხოვრების პირობებს. მასალებში აღნიშნულია, რომ სსრ კავშირში შეიქმნა მატერიალური და უფლებრივი საფუძვლები ქალთა თანასწორუფლებიანობის რეალური განხორციელებისათვის. საბჭოთა ქალები ფართოდ იყენებენ შრომის უფლებას. ისინი მუშაობენ კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების დარგში, მრეწველობაში, ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობაში. საბჭოთა ქალების შრომა ისევე ნაზღაურდება, როგორც მამაკაცთა შრომა, მათ აქვთ თანასწორი შესაძლებლობანი კვალიფიკაციის მისაღებად, სამსახურში დასაწინაურებლად, საბალხო მეურნეობაში ხელმძღვანელი პოსტების დასაკავებლად.

ამჟამად საბჭოთა ინჟინრებსა და ტექნიკოსებს შორის ქალები შეადგენენ მესამედს, აგრონომთა, ზოოტექნიკოსთა, მეტყევეთა და სხვა სპეციალისტთა შორის — 40 პროცენტზე მეტს. ასეულ ათასობით ქალი მუშაობს საწარმოს დირექტორად, მთავარ ინჟინრად, საამქროს უფროსად, ოსტატად, კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, ბრიგადირად, ფერმის გამგედ, მერგოლურად.

სსრ კავშირის უმაღლეს და სპეციალურ საშუალო სასწავლებლებში სწავლობს მილიონნახევარი ქალიშვილი. ქალები შეადგენენ ყველა მასწავლებელთა 70 პროცენტს და ექიმთა — 76 პროცენტს. 80 ათასამდე ქალი ეწევა მეცნიერულ მუშაობას, ბევრ მათგანს აქვს მეცნიერებათა კანდიდატისა და დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად არჩეულია 348 ქალი, ორი ათასზე მეტი ქალი არჩეულია მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლეს საბჭოებში. ბევრს უკავია მინისტრებისა და მინისტრის მოადგილეების პოსტები.

შექმნილია საწარმოო, კულტურულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა აქტიური მონაწილეობის ხელსაყრელი პირობები. კერძოდ, გახსნილია მრავალი საბავშვო ბაღი და ბაგა, აგრეთვე სხვა სოციალურ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი. ქალთა ცხოვრების პირობების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით მეექვსე ხუთწლედში განხორციელდება მთელი რიგი ღონისძიებანი. დედებისათვის შემოღებულ იქნება დამატებითი შელავათები, კერძოდ გადიდდება შვებულების ხანგრძლივობა ორსულობისა და მშობიაობისათვის. აშენდება 2,4-ჯერ მეტი საბავშვო ბაგა და ბაღი, ვიდრე მეხუთე ხუთწლედში. დედებისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება სკოლა-ინტერნატების მშენებლობას.

ქალები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, აღნიშნულია კომიტეტის მასალებში, აქტიურად იცავენ მშვიდობის საქმეს. ითვალისწინებს რა, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხალხთა მშვიდობისა და თანამშრომლობის განმტკიცებისათვის ურთიერთგაგებას, საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტი ყოველ წელიწადს იწვევს სსრ კავშირში უცხოელ ქალთა მრავალ დელეგაციას. მარტო შარშან საბჭოთა კავშირში ჩამოვიდნენ ქალთა დელეგაციები 30 ქვეყნიდან, მათ შორის საფრანგეთიდან, დანიიდან, ბელგიიდან, შვეიცარიიდან, ავსტრიიდან, ინდოეთიდან, იაპონიიდან, კანადიდან, ლათინური ამერიკის მთელი რიგი ქვეყნებიდან. ბევრ ქვეყანაში იყვნენ საბჭოთა ქალების დელეგაციები.

დელეგაციების ურთიერთგაცვლა ხელს უწყობს საბჭოთა კავშირისა და სხვა ქვეყნების ქალთა მეგობრობის განმტკიცებას, იგი წარმოადგენს წვლილს მშვიდობისა და თანამშრომლობისათვის ხალხთა ბრძოლაში.

პრეს-კონფერენციის მსვლელობაში საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის პასუხისმგებელმა მდივანმა ლ. ი. პეტროვამ უპასუხა კორესპონდენტთა კითხვებზე. (საკ. ინ.).

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტ
პარტიული ცხოვრების და მარქსიზმ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 8-81-84, მრეწველ
მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 8-57-61, ადგილობრივი და უცხოეთი

УЭ 00661